**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | . . | 10 მ. — კ. |
| 11 ,, | . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 ,, | . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 ,, | . . | 8 ,, — ,, |
| 8 ,, | . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 ,, | . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 ,, | . . | 6 ,, — ,, |
| 5 ,, | . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 ,, | . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 ,, | . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 ,, | . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 ,, | . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 298 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 298

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ., თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაური სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

## 1905 წელს

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.**

## „ივერია"

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანაც შეიძლება.**

წელიწადი ოცდა მეცხრე

**გამოვა იმავე სივრცითა და იმავე სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.**

რედაქცია უოველის ღონის-ძიებით ეცდება თავისი მძიმე მოვალეობა პირ ნათლად შეასრულოს და ისე გაუძღვეს თავის საქმეს, როგორც შეეფერება დღევანდელის ცხოვრების უოვლად საგულისხმიერო ვითარებას.

ჩვენი ძველნი და ახალნი თანამშრომელნი კვლავ დაგვპირდნენ დახმარებასა.

ვინც პირველ მარტამდე შემოიტანს სრულს ფასს, თუნდ ნაწილ-ნაწილადაც, პრემიად მიეცემა

## გრაფი ტოტლებენი საქართველოში

**ისტორიული მონოგრაფია ა. ფრონელისა, მთიულეთის ავტორისა.**

წიგნი საკმაოდ ვრცელი იქმნება, დაახლოვებით **400** კაბადონამდე.

წიგნში დაწვრილებით იქმნება აღწერილი საქართველოს მდგომარეობა ერეკლე მეფის დროს. წიგნი ცალკე არ გაიყიდება.

სოფლის მასწავლებელთა და სოფლის სამღვდელოებას, უფასო და მცირე ფასიან სამკითხველოებსა და ბიბლიოთეკებსა, უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა, სოფლის კანცელარიებსა და მცირე-ჯამაგირიან მოხელეთ

**დაეთმობათ „ივერია" უპრემიოდ**

**5** მან. ტფილისში და **7** მან. ტფილისს გარეშე.

ამ შეღავათიან ხელის-მომწერთაც შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ხვედრი ფული.

რედაქცია და კანტორა უოველ-დღე ღიაა, დილის 9 საათიდგან 3 საათამდე და საღამოს 5 საათ. 8-მდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 9—10 საათამდე და საღამოს 3—4-მდე.

### ხელის მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქციაში (კ. ალექსი-მესხიშვილის სახლი, კალოუბნის ეკკლესიის გვერდით) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილისა და წერეთლის წიგნის მაღაზიებში.

**სიღნაღში:**—მიხეილ ნასიძესთან.

**თელავში:**—ილია ზარაფიშვილთან.

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**ახალციხეში:**—ხაზინის ბუხგალტერ ღვთისავრიშვილთან.

**ცხინვალში:**—ნიკო კასრაძესთან.

ბათუმსა, ბაქოსა, ფოთსა, სოხუმსა, ოზურგეთსა, ხონსა, სამტრედიასა, და სურამში აგენტების სახელები ცალკე იქმნება გამოცხადებული.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія".

რედაქტორ-გამომცემელი ალ. სარაჯიშვილი.


**ბ**-ნმა ტფილ. გუბერნატორმა ამა წლის 30 **დეკემბრისთვის დანიშნა არჩევნები ტფილისის მოქალაქეთა საზოგადოების რწმუნებულთა.**

ამორჩეულ უნდა იქმნას ასი რწმუნებული, რომელთაც შემდეგ, 7 იანვარს მომავალ **1905** წელს, უნდა ამოირჩიონ: 1) მოქალაქეთა მამასახლისი, 2) გარდასახადთა ამკრები მამასახლისი და 3) ათი თანაშემწე გარდასახადთა ამკრებ მამასახლისისა, აგრედვე კანდიდატები თითოეულ ამ თანამდებობის კაცთა (სულ ათი კანდიდატი). აცხადებს რა ამას მოქალაქეთა საყურადღებოდ, ტფილისის პოლიცმეისტერი, თანახმად ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის ბრძანებისა, სთხოვს მოქალაქეთ, რომელთაც კრებაზედ ხმის უფლება აქვთ, გამოცხადდნენ 30 დეკემბერს, არა უგვიანეს დილის $7^1/_2$ საათისა, იმ საპოლიციო ნაწილებში, რომლის რაიონებშიაც სცხოვრებენ მოქალაქენი, სადაც ერთსა და იმავე დროს, სწორედ დილის 8 საათზედ, ბოქაულთა ზედამხედველობით, დაიწყება არჩევნები მოქალაქეთა საზოგადოების რწმუნებულთა. ამავე საზოგადოების გამგეობის თანამდებობის კაცთა არჩევნები კი მოჰხდება დამდეგის წლის 7 იანვარს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სხდომის დარბაზში, სადაც ამ დროს მოვალენი არიან გამოცხადდნენ რწმუნებულნი, რომელნიც არჩეულ იქმნებიან ამ წლის 30 დეკემბრის მოქალაქეთა კრებაზედ. (2—6—2).


ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

ხუთშაბათს, 30 დეკემბერს,
ლ. დ დონსკოის მონაწილეობით,
წარმოდგენილი იქმნება

**მანონი**

ოპერა 5 მოქმედ., მუსიკა მასსენისა.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

—

პარასკევს, 31 დეკემბერს,
წარმოდგენილი იქმნება

სევილიელი დალაქი

ოპერა 3 მოქმ., მუსიკა როსსინისა

და

საკონცერტო განყოფილება.

—

შაბათს, 1 იანვარს,
«გალლა» წარმოდგენა
წარმოდგენილი იქმნება

**ბოკაჩიო**

კომიკური ოპერა 3 მოქმ., მუს. ზუპპესი.

მზადდება წარმოსადგენად «მანდარინის შვილი» ც. კიუისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

## ქართველ ქალთა ამხანაგობის

სახელოსნო სკოლის მოწაფეთა ნახევარზე მეტი ეკუთვნის ღარიბეს ტფილისის მცხოვრებთა ხელოსანთა და ქვრივ-ობერთა ოჯახებს, ამისათვის გამგეობა ქალთა ამხანაგობისა უმორჩილესად სთხოვს ქართველ ქველ-მოქმედთ, ვაჭართა და ხელოსანთ აღმოუჩინონ რაიმე დახმარება ამ სადღესასწაულოდ.

ყოველი შემოწირულობა მადლობით მიიღება სახელოსნო - სკოლის სადგურზედ, ვერა, სახლი ალექ. გაბაშვილისა, № 6.

(5—1)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ, ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქქრაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** $1^1/_2$—2 საათ. ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.

**საღამოობით:**

**მ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას 5 7 საათ.

**ხ. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

პორტ არტურის აღების შემდეგ. 20 დეკემბერს, 1904 წ. სტესელის წარმომადგენლებმა პორტ არტურის კაპიტულიაციას ხელი მოაწერეს. პეტრე დიდის შემდეგ რუსეთს ამგვარი ძლიერი დამარცხება არ მოსწრებია. მართალია, რუსეთის ჯარი აუსტერლიცთანაც (1807) წ. დამარცხდა, თითქმის განადგურდა, სევასტოპოლთანაც მარცხი მოუვიდა, პლევანშიაც ბევრი შავი დღე დაადგა, მაგრამ ნარვის აქეთ რუსეთის არც ერთი ციხე არ დანებებია მოწინაამდეგეს, თუ, რასაკვირველია, პატარ-პატარა რაზმებსა და გამაგრებულ პოზიციებს არ ვიანგარიშებთ. სევასტოპოლი მტერს არ დანებებია. სევასტოპოლი შტურმით აიღეს, მეციხოვნენი კი მტერს არ დანებდნენ, ჩრდილოეთისაკენ დაიხიეს და დანარჩენ ჯარს შეუერთდნენ. მაშინ რუსეთის ლაშქარმა მტერს ნება არ მისცა და სევასტოპოლის გზა ჩრდილოეთიდგან არ მოაჭრევინა, პორტ არტური კი ღვთის ანაბარად მიატოვეს. ციხის დამცველებმა თავის გმირობა დაამტკიცეს, სახელი გაითქვეს, რაც კი მათ ხელში იყო—აასრულეს მაგრამ ამან დამარცხება უარესად გაამწვავა. პორტ არტურის აღება მარტოოდენ ციხის აღება კი არ არის, არამედ 50.000 კაცის განადგურებაა. 1903 წელს, ოქტომბერში, ე. ი. ომის დაწყებამდე სამის თვის წინად პორტ არტურში ბანკეტზედ ოფიციალურად გამოაცხადეს, პორტ არტური მიუვალი ციხეა, პორტ არტურის აღება შეუძლებელიაო.

1 მაისს კვანტუნის ნახევარ კუნძულს იაპონელებმა ალყა შემოარტყეს. ამ დროისთვის გენერალ სტესელს ჰყვანდა 37.000 მეციხოვნე ჯარის კაცი, 11.000 მეზღვაური და 2000 კერძო მებრძოლი; სულ 50,000 უბრალო ჯარის კაცი და 2000 აფიცერი. სტესელს დაახლოვებით 1400-მდე ზარბაზანი ჰქონდა. აქედგან 520 ციხის ზარბაზანი იყო, 80—საბარო და ტყვიის მფრქვეველი და 800 გემის ზარბაზანი. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ კვანტუნის ნახევარ კუნძულის დასაცველად 100 ფორტი და ბატარეია იყო გაკეთებული, მაშინ გენერალ ნოგის გამარჯვების დიადი მნიშვნელობა თვალწინ ნათლად წარმოგვიდგება. ამ გამარჯვებას მით უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება, რომ პორტ არტურის აღება იაპონელთა პირველი გამარჯვებაა, რომლის აზრი აუხსნელად ესმის ყოველს იაპონელ ჯარის კაცსა, ყოველს იაპონელსა, ჩინელსა და რუსსა. ამბობენ, პოზიციების წართმევა და რუსების უკან დახევა რაღაც ნაირ სტრატეგიულის მოსაზრებით მოხდაო (ნამდვილად კი კუროპატკინმა ექვსჯერ დაიწყო სატევი ომი); როცა ზარბაზნებს გვართმევდნენ, მაშინ ამბობდნენ, ეხლანდელ ომში არტილერია ქვეითა ჯარს უნდა მიუძღოდეს და უკან დახევის დროს ქვეითა ჯარი უნდა დაიცვას და თვითონ კი დაიღუპოსო (ნამდვილად კი არტილერია ქვეითა ჯარს ეხლაც უკან მისდევს). წამდაუწუმ გვატყობინებდნენ, იაპონელებს საშინელი ზარალი მივაყენეთ და ათი ათასობით დავუხოცეთო. ისე გამოდიოდა, თითქო რუსის ჯარის მთავარი დანიშნულება—იაპონელთათვის დიდი ზარალის მიყენება იყო და არა მათი დამარცხება და პოზიციების წართმევა. თურმე ნუ იტყვით, რუსეთის საქმე კარგად მიდიოდა, ყველაფერი წინდაწინვე შემუშავებულ გეგმის თანახმად ხდებოდა და ბოლოს საქმე უეჭველად იმით უნდა გათავებულიყო, რომ 50 მილიონი იაპონელი უნდა განადგურებულიყო, შორეულ აღმოსავლეთში რუსეთი უნდა გაბატონებულიყო და ამასთან რუსეთს ერთსა და იმავე დროს იაპონიის გარდა უნდა დაემარცხებინა ინგლისიცა და ამერიკაც, რომელთაც დიდ ოკეანეში თითქოს არავითარი საქმე არა აქვთო. რუსეთის ამ მომავალისა და დიად სურათის დახატვის დროს დაივიწყეს მხოლოდ ერთი წვრილმანი რამე: დაივიწყეს, რომ თვით უძლიერესსა და უდიდეს ჯარს არ შეუძლიან დაიპყროს არა თუ მარტოოდენ დიდი ოკეანე, რომელზედაც ამომავალ გზის გამარჯვებული დროშა ფრიალობს, არამედ ზღვის პირიც კი რამდენიმე ვერსის მანძილზედ. დიდი დანაშაული მიუძღვის ცრუ პატრიოტულ გაზეთებსა და ზოგიერთა პატრიოტებს, რომელთაც შეჰქმნეს ლეგენდა, ვითომ რუსეთის ჯარის საქმე მშვენივრად მიდის და პორტ არტურსაც არაფერი არ აკლიაო. ეხლა მაინც, როცა პორტ არტური დავკარგეთ, უნდა გაიფანტოს ის ლეგენდა, რომელმაც ერს თვალები აუხვია და დააძინა. დროა შევიგნოთ, რომ რუსეთის უბედურისა და უიმედო მდგომარეობის დამალვა ჯარის სიმამაცის აწერითა და ქებით არ შეიძლება. რუსეთის ჯარს სენტიმენტალური ქება კი არ უნდა, არამედ საბრძოლველი ძალა და სურსათი. მტრის დამარცხება ქაღალდზედ ადვილია. ჩვენს გაზეთებში ეხლაც სწერენ და თითქმის უხარიანთ, რომ პორტ არტური აიღეს, რადგან, მათის აზრით, პორტ არტურმა თავის დანიშნულება შეასრულა და მისი დანებებაც სამხედრო გეგმის თანახმად მოხდაო. პირველ ხარისხოვან ციხეებს იმიტომ კი არ აშენებენ, რომ რვა თვის შემდეგ მტერს ჩააბარონ, პორტ არტური იმიტომ კი არ ააშენეს, რომ მტრის ძალა პორტ არტურისაკენ მიეზიდნათ და ამით მუკდენთან დიდი ჯარის შეგროვების საშვალება ჰქონოდათ, არამედ იმიტომ, რომ მანჯურიისა და ყვითელ ზღვის შენარჩუნება უზრუნველეყოთ. დროს მოსაგებათ ციხე კვანტუნზედ კი არ უნდა აეშენებინათ, არამედ იალუსა და ფენშუილინზედ. მართლადაცა და პორტ-არტურს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა მანჯურიაში ბრძოლის ვითარებაზედ. მანჯურიის ბრძოლის ბედში არც ნოგის ჯარს მიუღია მონაწილეობა. რასაკვირველია, ნოგის ჯარი ოიამას რომ ჰყოლოდა, შახეს ბრძოლა სულ სხვანაირად დატრიალდებოდა და კუროპატკინსაც საქმე უარესად გაუჭირდებოდა, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, ვითომ ამ შემთხვევაში რუსეთის ჯარი განადგურებული და დატყვევებული იქნებოდაო

არა, დროა სინამდვილეს პირდაპირ თვალებში შევხედოთ და აღვიაროთ, რომ რუსეთმა 1904 წლის ომი წააგო. იაპონიამ თავისი გაიტანა და თავის გეგმა შეასრულა: კორეია იაპონელებმა რკინის გზებით დახლართეს, იქაურობა ჯარითა და გადმოსახლებულებით აავსეს, და ეს ქვეყანა იაპონიის იმპერატორს დაუმორჩილეს, პორტ არტურში და ლიაოდუნში ხომ ბატონობენ და ბატონობენ. მანჯურიაში რუსები ოკეანედგან ჩრდილოეთისაკენ მიჰყლიტეს, მაგრამ ომის ნამდვილი მიზეზი მანჯურიაც არ არის: მანჯურია, სულ ერთია, ინგლისისა და ამერიკის მეცადინეობით უცხოელთა ვაჭრებისათვის თავისუფალი იქნება. თუ იაპონიას ძალ-ღონე შემოაკლდება, საგერ ტაქტიკას დაადგება, რუსეთმა კი ხელახლად უნდა დაიპყროს უკვე დაკარგული ადგილი და ბოლოს პორტ არტური უკანვე უნდა დაიბრუნოს. ოიამას დამარცხებით რუსეთი იაპონიას ვერ აიძულებს პორტ არტურის დაბრუნებას და ამიტომ რუსეთმა მთელი თავის ძალ-ღონე უნდა მოიკრიბოს და დიდის გაჭირვებით კორეია უნდა დაიპყროს და პორტ არტურიც დაიბრუნოს (რ. ვ.).

# ახალი ამბავი

ტფილისის საქალაქო გამგეობის მეხუთე წევრი. ტფილისის ქალაქის საბ... ხმოსანმა, ა. ბაბოვმა საბჭოში ლაპარაკი აღძრა, საჭიროა გამგეობას მეხუთე წევრიც მიემატოსო. მეხუთე წევრმა ...ის საყასბოებისა და მიწების საქმე განაგოს.

* გენ. ადიუტანტი, კავალერიის გე... ამილახვარი 15 დეკემბერს ხელ... დედოფალს, მარიამ თეოდორეს წარუდგა.

* ტფილისის საქალაქო შემოსავალი. 1903 წელს ქალაქის კასაში ნამდვილი შემოსავალი ყოფილა 1.531,658 მ. და 70 კ. ნამდვილი ხარჯი—1.418,006 მან. და 20 კაპ. 1904 წ. 1 იანვრისათვის ქალაქის კასაში იყო 676,433 მან. და 2 კ. ამავე დროს გადაუხდელი იყო ქალაქის სასარგებლოდ 646,657 მ. და 80 კ. ...ვალი—3.177,834 მ. და-79 კ.

* გუშინ წინ ღამე ტფილისის 1 განყოფილების სასამართლოს ცეცხლი წაეკიდა. არქივი დაიწვა. ცეცხლი ჩააქრეს.

* ბაქოში გაფიცვის დროს რვა დღე მუშაობა შეჩერებული იყო. ამ რვა დღის განმავლობაში ნავთის წარმოება 15 მილიონი ფუთით შემცირდა.

* კავკასიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება ძლიერ შევიწროებულია უსახსრობით. საზოგადოებას მრავალი თხოვნა მოსდის სტუდენტებისაგან, მაგრამ უსახსრობისა გამო ამ თხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ამის გამო საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა 12 ...ანვრის საარტისტო საზოგადოების თეატრში გამართოს კონცერტი საზოგადოების სასარგებლოდ.

* ი. კ. ზუბალაშვილის შემოწირულება. ცნობილმა ქველ-მოქმედმა ი. კ. ზუბალაშვილმა აცნობა კავკასიის შეუძლებელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობას, რომ ყოველ წლობით საზოგადოებას შევწირავ სამას-სამას მანეთსაო.

* ახალი ამხანაგობა. «ცნ. ფურც.» ს ატყობინებენ, რომ თიანეთის მაზრაში შედგა ამხანაგობა, რომელსაც განუზრახავს სოფელ მაღაროსკარში (ფშავეთი) გახსნას დუქანი ფშაველთა მატყლისა, ხევსურთა ერბოსი და სხვა ნაწარმოების პირიან ფასებში შესასყიდ და ჩარჩთა ასალაგმავად.

* ბანკში დაგირავებული მამულები. 22 და 23 დეკემბერს დასრულდა ვაჭრობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებულ სოფლის მამულებისა. 22 დეკემბრისათვის დანიშნული იყო 16 მამულისა. გაიყიდა 7 მამული. დარჩენილ მამულის ვაჭრობა მოხდება 12 იანვარს. 23 დეკემბერს გასასყიდად დანიშნულ 11 მამულიდგან გაიყიდა 5. დამატებითი ვაჭრობა 12 იანვარს მოხდება.

22 დეკემბერს ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში მოხდა საჯარო ვაჭრობა იმ მამულების, რომელთა პატრონებმაც ნედოიმკები არ გადაიხადეს. გასასყიდი იყო 27 მამული, გაიყიდა 21. დარჩენილი მამულების ვაჭრობა დანიშნული იყო 29 დეკემბრისათვის.

## მუშების გაფიცვა ბაქოში

«კავკ.»-ში დაბეჭდილია:

23 დეკემბერს, როდესაც შავს და თეთრ ქალაქებში მუშაობა განახლდა, ბალახანაში ნაშუადღევის მესამე საათზე ყაზახთა რაზმს შემოერტყნენ მუშები, დაუშინეს ქვები და სროლაც კი დაუწყეს. რაზმს მიეშველა ყაზახთა ნახევარი ასეული, რომელიც, მრავალ გზის დარიგების შემდეგ, იძულებული გახდა სროლა დაეწყო. ამასთან მეამბოხეთაგან მოჰკლეს სამი და დასჭრეს ხუთი კაცი. ყაზახთაგან სამი კაცი დაშავდა, მაგრამ სამივე რაზმში დარჩა. იმავე დღეს ბიბი-ეიბათში უწესოებანი მოხდა. მუშები თავს დაეცნენ საპოლიციო დარაჯებს. დარაჯებმა ამ დროს ერთი მუშა მოჰკლეს და რამდენიმე დასჭრეს. სულ ბიბი-ეიბათსა და ბალახანაში დაიჭრა 20 კაცზე მეტი.

„24 დეკემბერს ბალახანაში დაიწვა 22 ნავთის კოშკი, ხოლო 26 დეკემბერს —20 კოშკი. ბაქოსა და სამრეწველოებს შუა ტელეფონი შეჩერებული იყო. 23 დეკემბერს დაიწყო ტელეფონმა მუშაობა. მაგრამ 24-ს ისევ შესწყდა».

გაზეთი «ბაკ. იზვ».-ში დაბეჭდილია:

„24 დეკემბრიდან ყველა ნავთის სამრეწველოსა და ქარხანაში გამოკრულია იმ სამრეწველოების და ქარხნების პატრონთა განცხადება. ესენი ატყობინებენ ხელოსანთა და მუშებს, რომ გინვიხილეთ თქვენი მოთხოვნილებანი და შესაძლებლად ვცანით მუშაობის აწ არსებულ პირობებში ზოგიერთ ცვლილებების შეტანა. ეს დამატებები და ცვლილებები ჩამოთვლილია 22 მუხლში. უმთავრესი შემდეგია:

«უპირველესს ყოვლისა დამატება და ცვლილება შეეხება სამუშაო დროს რაოდენობას და დასვენებას. იმათთვის, ვინც დილით გამოდის და საღამომდე მუშაობს, სამუშაო დროთ დაწესდა $9^1/_2$ საათი. დღიურ ხელოსნებსა და მუშებს, რომელნიც ერთ ჯერზე მუშაობენ, კვირაში ერთი თავისუფალი დღე მიეცემათ ფულის გამოუკლებლად. ის მუშები, რომელნიც თვიურ ჯამაგირს იღებენ, სამ ჯერზე მომუშავეთა გარდა, ჯამაგირის გამოუკლებლად განთავისუფლებულ იქმნებიან მუშაობისაგან თვეში ოთხჯერ თითოჯერ 24 საათით. კვირა-უქმეების წინა დღეებში მუშაობა რვა საათი უნდა იყოს. ამ დღეებში მუშაობის გათავება დამოკიდებულია ქარხნის ან სამრეწველოს ადმინისტრაციისაგან. ღამე სამუშაოდ უნდა იყოს მუშათა განსაკუთრებული მტატი; ღამის მუშაობა სწორედ რვა საათი უნდა იყოს.

„მოგვარებულ იქმნა აგრეთვე საკითხი სამუშაო ფასის შესახებ. დაწესებულ იქმნა სხვა და სხვა კატეგორიის ხელოსანთა და მუშათათვის მინიმალური ნორმა ქირისა. დაწესდა აგრედვე ნორმა ბინების საქირაო ფულისა. მე-17 მუხლში ნათქვამია, რომ საკითხი ბინების შესახებ ამით არ თავდება; საქმე მოხერხებულ და ჰიგიენურ ბინების მოწყობის შესახებ გადასწყდება მაშინ, როდესაც ხაზინა დაგვითმობს საქირაო ადგილსაო.

«შემდეგ, ცვლილება შეეხო მუშათა ბინების განათებასა და გათბობას. კეროსინი და წყალი საქარხნო რაიონში იმდენი უნდა ეძლიოს მუშებს, რამდენიც საჭიროა. რაოდენობა უნდა გადასწყვიტოს ქარხნის ადმინისტრაციამ. მაზუთი და ნავთი კი გასათბობათ როგორც სამრეწველო, ისე საქარხნო რაიონებში უნდა ეძლიოთ მუშებს უსასყიდლოდ.

«დანარჩენ მუხლებიდან აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთებს: მრეწველნი დაჰპირდნენ ყოველ სამრეწველოში სპეციალურ სადგომის გამართვას სურსათის და აბანოში სასიარულო კონტრამარკების მისაღებად და აგრეთვე გახრეკის მოსპობას. მე-11 მუხლით გაწესრიგებულია ურთი-ერთობა მუშებსა და სამრეწველო-საქარხნო ადმინისტრაციის შორის. ამ მუხლში ნათქვამია: «ადმინისტრაცია უსათუოდ ზრდილობიანად უნდა ექცეოდეს მუშებსაო».

«განცხადების ბოლოში ნათქვამია, რომ ეს მოთხოვნილებანი აღსრულებულ იქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშები მუშაობას განაახლებენ 22 დეკემბრის დილის 6 საათიდან.

«ამ განცხადებამ ნაყოფი ვერ გამოიღო. სამრეწველოებსა და ქარხნებში მუშაობა ისევ შეჩერებულია. უთანხმოება ვერ მოისპო და საქმე უფრო მწვავდება».

## ალექსანდრე ყაზბეგის მოგონება.

ათის რვაას ოთხმოცდა მერამდენე წელს და თვეს არ მახსოვს, განსვენებულ სერგეი მესხმა შემნიშნა, რომ მე «დროება»-ს რედაქციის წინ ვიდექი (მაშინ რედაქცია მუხრანის სახლებში იყო, გოლოვინის პროსპექტზე) და რედაქციაში მყოფ ხალხს და იქვე წარწერას «დროებ»-ის რედაქციას ვაკვირდებოდი. ერთმა იქ მყოფმა (როგორც მერმე აღმოჩნდა, სერგეი მესხი იყო) დამიძახა და ვინაობა მკითხა. მე მოწიწებით მოვახსენე, რომ იმერელი ვარ და წიგნის მაღაზიაში ან სტამბაში მინდა ვიშოვნო ბინა. მეთქი იქ იმ დროს იყვნენ: თვით ბ. ს. მესხი, ქ-ნი ეკატერინე მელიქიშვილის ასული მესხისა, კონსტანტინე და ნესტორ მესხი, ბ. იონა მეუნარგია და ალექსანდრე ყაზბეგი. ამ ხალხმა თავიანთი გამოკითხვით ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მათი მოშორება ვერ მოვახერხე. მგონი შემატყო განსვენებულმა სერგეიმ და მითხრა: შენ მგონი წასვლა გეძნელება, დაიცადე აქ, თუ სტამბაში არ აღმოჩნდა ადგილი, ფილოქსერის პარტიაში მიგიღებთ და იქ იმუშავებო, მანამ კი აქ დარჩიო. სერგეის გარდა სხვებმაც მირჩიეს და მეც დიდის სიხარულით დავრჩი. იმ დროს რედაქციის ექსპედიტორობას ასრულებდა ქ-ნი ეკ. მესხისა და დათიკო მესხი. მე მათ ვეხმარებოდი და ისე შევისწავლე გაზეთების სხვა და სხვა ქალაქებში გზავნა და სხვა რედაქციის წვრილმანი საქმეები, რომ თვით რედაქციისათვის ვიყავ საჭირო და განსვენებულმა სერგეიმაც რედაქციაში დამტოვა. მეც ძრიელ სასიამოვნოდ დამრჩა. ერთი იმიტომ, რომ იქ მყოფნი ხალხი მეტის პატივით მეპყრობოდნენ და მეორეც—წიგნებსა და გაზეთებს, რომლის კითხვაც მენატრებოდა, ბლომად ვშოულობდი წასაკითხად.

განსვენებული ალექსანდრე რედაქციაში ცხოვრობდა. იგი ძალიანი თავდაბალი და მოყვარე კაცი იყო. არავისათვის არ შურდა, თუ რამ კი ექნებოდა, იგი ამხანაგი იყო როგორც თ-დ გრიგოლ ორბელიანის და სხვათა აღმატებულთა, ისე გლეხებისა და უბრალო ხალხისა. უნდა გენახათ ის, როცა მეურმეებში ჩაჯდებოდა, მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. განსვენებული ალექსანდრე ავადმყოფი კაცი იყო, გამხდარი, ფერმკრთალი, თვალით სინათლე ნაკლები და ხელებიც უკანკალებდა, რომლის წყალობითაც წერა უძნელდებოდა; მარცხენა მხრით რომ ქაღალდს გაავსებდა ნაწერით, მარჯვნით ახალი დაწერილი გეგონებოდათ. ერთხელ მე რაღაც წერილს ვწერდი, დააკვირდა ჩემ ნაწერს და მითხრა: «ილიკო» საწერები მაქვს და რადგან მე მიძნელდება წერა, დაჯექი სტოლთან, მე გელაპარაკები და შენ სწერეო. მე ძრიელ გამეხარდა, რადგან ჩემი დახმარება საჭირო გახდა. იმ დროს, როგორც მახსოვს, „ელგუჯა“-ს სწერდა, წერის დროს ის ლაპარაკობდა ხანდისხან ისე ხმა-მაღლად და გულ-მოსული, გაფითრებული, რომ მე ბევრჯერ წამომდგარვარ სკამიდან შეშინებული. ბევრჯელაც ტირილი მოსდიოდა და ამისთანა შემთხვევის დროს ტახტზე ჩამოჯდებოდა და დიდ-ხანს ისვენებდა. «ელგუჯა» მოამზადა ცალკე წიგნად გამოსაცემად. უაიბეჭდა თუ არა, იმ წამსვე დაიბარეს ყაზბეგი თავისი «ელგუჯათი», ჩამოართვეს და დასწვეს. უნდა გენახათ ყაზბეგი იმ დროს, შინ დაბრუნებული, შვილის დამკარგავ დედასავით სწუხდა და ზარდა. გამოიგლოვა დიდი დანაკლისი და შეუდგა ისევ სხვა მოთხრობის წერას. დავბეჭდეთ «ციკო» (ცალკე წიგნად), «ფათი», «ელეონორა», «ჩინოვნიკი გლურიძე», «ხევის ბერი». «არსენა» დრამა, «წამება ქეთევან დედოფლისა» (ეხლა კონსტანტინე ბატონიშვილი) და სხვა. «წამება ქ. დედოფლის» დრამისათვის შეკერია ახალი ტანისამოსი, მოემზადნენ წარმოსადგენად, მაგრამ აქაც უბედურობა ეწვია, ამ დროს პეტერბურგიდან ჩამოვიდა საბინინი. საბინინმა საჩივარი შეიტანა ექსარხოსთან და სთხოვა, რომ, რადგან ქეთევანი წმიდათა შორის არის ჩარიცხული მისი სცენაზე დადგმა არ შეიძლებაო. დარჩა განსვენებული ყაზბეგი პირში ჩალა გამოვლებული, თითქმის უკაპეიკოთ. საზოგადოდ იმდენი წერისა და შრომის სახსრათ სიმშილისა და მწუხარების მეტი არა ღირსებია რა. ბევრჯერ ისა და მისი ერთად ერთი მეგობარი «ტაკო» თხილითა და პურით სადილობდენ. ამიტომაც იყო რომ, ის მწერლობით ვერ კმაყოფილდებოდა და თეატრშიაც ღებულობდა მონაწილეობას. უნდა გენახათ, ბენეფისის მეორე დღეს როგორ დაესეოდნენ მოზრდილი მოწაფეები; ვინ სწავლის ფულს სთხოვდა, ვინ სახარჯოს, ყველას უთმობდა ქონების დაგვარად და თვითონ მეორე დღეს მშიერი იყო. განსვენებულმა ს. მესხმა რედაქცია გადასცა დ. ქართველიშვილს და ივანე მაჩაბელს. მეც ცოტა ხნის შემდეგ რკინის გზის სამსახურში შევედი და დიდ ხანს ყაზბეგი არ მენახა. ერთხელ სასახლის ქუჩაზე მივდიოდი, წინ გადამიდგა ძველ ნაბადში გახვეული ძალზედ გამხდარი ყაზბეგი: «ილიკო»! გადამეხვია, დამკოცნა და ტირილი დაიწყო. მე მინდოდა მომეკითხა, მაგრამ მან აღარ მაცალა და ტირილით მითხრა «აღარავისთვის აღარ მცალიან»-ო. ამ სიტყვებით ის ტყვიასავით გავარდა. არასოდეს ისე არ ჩამოუთქვია გული, როგორც იმ დღეს ყაზბეგის შეხვედრით, თურმე ის გაგიჟებულიყო.

ი. ხეთერელი.

## ანტიპედაგოგიური დიპლომი.

სხვისი რა მოგახსენოთ და ჩვენზედ კი გუშინდელმა ბ-ნ დროებით განჯელის კორესპონდენციამ განჯიდან ცოტათი არ იყოს ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბ-ნ დროებით განჯელს „ივერიის“ საშუალებით ჩვენ ვიცნობთ, როგორც განჯის ცხოვრების გულშემატკივარ სწორსა და მიუკერძველს მეთვალყურეს, რომელსაც განჯის ქართველობის კარგი ახარებს და ავი კი გულს უკლავს და აღონებს. ბ-ნ დროებით განჯელის კორესპონდენციებს ჩვენ ყოველთვის დიდის სიამოვნებით ვკითხულობთ, რადგან ამ კორესპონდენციების თვითეულ სიტყვაში მჭიდროდ ჩაქსოვილია საერთოდ ყველა ქართველობისა და კერძოდ განჯაში მცხოვრებ ქართველებისადმი გულწრფელი სიყვარული.

ჩვენის აზრით, სწორედ ამ ქართველე-

# ფელეტონი

## ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკი.

V. ბანკის გამგეობის მოხსენება.

...ში მივიღეთ საკმაო დიდი 31 გვერდიანი დასტამბული რვეული, ეს გახლავთ ბანკის გამგეობის მოხსენება (ხელმოუწერელი). ამით გამგეობა პასუხობს მთავრობის მეორე რევიზორს ბ-ნ ორდინს და ცდილობს როგორმე გაიმართლოს თავი. კიდევ ადრე გვეუბნებოდნენ ბანკის მეთაურთა ახლო პირნი, რომ გამგეობა ამზადებს საფუძვლიან მოხსენებასო, რომ გამგეობა შეურყეველი საბუთებით და არგუმენტებით გაიმართლებს თავსო, რომ რევიზორის ანგარიში მიკერძოებისა არის შემდგარიო, რომ ეს დინჯი, ობიექტიური ანგარიში კი არა, მრისხანე პოლიციელის ოქმიაო და სხ.*) და ჩვენც მოუთმენლად მოველოდით გამგეობის მოხსენებას. ჩვენ არ გვაქვს არავითარი საბუთი ეჭვი შევიტანოთ ამ პირთა და მით უმეტეს მთავრობის რევიზორის მიუკერძოობა—სამართლიანობაში. ამ პატივცემულ პირთ არ ჰქონიათ არავისი შური და მტრობა, მათ ამოქმედებდათ მხოლოდ სიმართლე და ჭეშმარიტება, მათ სურდათ გამოერკვიათ მხოლოდ ბანკის ცუდი მდგომარეობის ნამდვილი მიზეზნი, ემცნოთ წევრთათვის ბანკის მეთაურთა მოქმედებანი და მოეფინათ ნათელი ბანკის ბუნდოვან საქმეებისთვის. ჩვენის აზრით, ამ პატივცემულმა რევიზორებმა მეტად კეთილსინიდისიერად შეასრულეს მინდობილი საქმე. და თუ მათი მართალი ახსნა და შენიშვნები ეწყინათ ზოგიერთ ვაჟბატონთ და არ მოეწონათ, ამაში იმ პირთ არავითარი ბრალი არ აძევთ; იმათ თქვეს ის, რაც სცნეს და იხილეს ბანკის წიგნებსა და მის მეთაურთა მოქმედებაში კეთილ სინდისიერ შესწავლის შემდეგ. და თუ მიუხედავათ ამისა იმათ შეეპარათ ზოგიერთ რამეში რაიმე შეცდომა, ან ზოგიერთი დასკვნა იყო გადაჭარბებული, ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს ლათინურ ანდაზას: „humanum errarum esse“, ანუ ქართულათ: კაცი შეცდომის შვილიაო.

ჩვენ ფრიად გულდასმით გადვიკითხეთ გამგეობის მოხსენება, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვპოვეთ შიგ მისი ნატამალიც კი, რასაც გვპირდებოდნენ. გამგეობამ ვერ დაარღვია ვერც ერთი მთავარი ბრალდება, რასაც აძებდა მას მთავრობის რევიზორი, გამგეობა ოდნავაც არ შეხებია კერძო რევიზორებს და მათ საფუძვლიან შენიშვნებს. მთავრობის რევიზორის დასკვნაა: 1) ბანკის მეთაურთ სისტემატიურად დაურღვევიათ წესდება, 2) დაურღვევიათ კანონი, 3) ვადა გაუყვანიათ და არ გაუშვიათ პროტესტში დიდი თანხის თამასუქები, რითაც ბანკისთვის მიუყენებიათ დიდი ზარალი, 4) გაუციათ შავქვაზედ უზარმაზარი სესხი, 5) გაუციათ სესხათ ქვის ღირებულებაზედ მეტი, 6) არ ჰქონიათ ჰიათურაში კარგი კონტროლი, 7) არ მიუღიათ დროით არავითარი ზომა არა ბეჯით მსესხებელთა მიმართ, 8) არ შეუსრულებიათ პირველი რევიზიის რჩევა და შენიშვნა, 9) დაუქცევიათ საბჭოს დადგენილება შავ-ქვაზე სესხის გაცემის შესახებ. 10) გადუქცევიათ ბანკი კერძო პირის კანტორად, ყოველივე ამით მიუყენებიათ ბანკისთვის დიდი ზიანი და მიუყვანიათ იგი დაღუპვის კარამდე. აი, ეს რევიზორის სასტიკი ბრალდებანი დარჩნენ ისევ ძალაში და დაურღვეველნი გამგეობის მიერ.

გამგეობის ვრცელს მოხსენებაში ჩვენ ვპოვეთ მხოლოდ წვრილმანებს, ბუნდოვანობას, უმთავრეს კითხვების მიფუჩეჩებას და მეტად სუსტს სოფისტიკას. თუმც ეს შრომა კოლექტიურია, თუმც მის შედგენა-შემუშავებაში, როგორც სჩანს, ბევრს «ბანკირს» და ჭირისუფალს მიუღიათ მონაწილეობა, მაგრამ მაინც ნათლად აჩნევია სისუსტის და კაზუისტიკის დაღი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. რა ქნას სოფელმა, ენამ და გაქნილმა კალამმა თუ მართალი ფუძე არა აქვს! ნეტა რა რიგ შეუძლიათ მათ შავის გათეთრება საზოგადოების წინაშე! მათ ძალუძთ ბუღუსის გადაფარება, ბრბოს დაბრმავება, სცენაზედ თვალთმაქცობა, (ამის მაგალითები არა ერთი და ორია), მაგრამ ისინი უძლურნი არიან ფხიზელ კრიტიკის წინაშე...

ეს ჩვენი შეხედულობა იქნებოდა ცალმხრივი, რომ არ აღვნიშნოთ გამგეობის მოხსენებაში ერთი საფუძვლიანი ახსნა. გამგეობას უპოვია რევიზორის ანგარიშში აქილეს ტერფი და აღტაცებით უსვრია მისთვის ისარი. გამგეობა სამართლიანად უკიჟინებს და სთვლის გადაჭარბებულად რევიზორის მოსაზრებას ვადაგასულ და პროტესტ ნაკრავ თამასუქების შესახებ. რევიზორის აზრით ყველა ეს და კიდევ მოსალოდნელი $8^0/_0$-ც სულ ერთიანათ უნდა ჩაითვალოს ზარალში, ამ რიგათ თამასუქიან ოპერაციებზე რევიზორს გამოჰყავს ზარალათ 172 ათას მანეთამდე, რაც ჩვენც მეტად გადაჭარბებულად მიგვაჩნია. მაგრამ რევიზორის ამ გვარი მოსაზრება აიხსნება მით, რომ იგი სრულიად არ იცნობდა ჩვენი ბანკის წევრთ ქონებრივი მხრით. ამიტომ შესაძლოა ამ თამასუქთა რეალიზაციის დროს ბანკს მოუვიდეს 10, 15 და $20^0/_0$ ზარალი, მაგრამ არას დროს კი სულ ასივე პროცენტი. ეს არც თვით რევიზორს სჯერა, მაგრამ ყოველ შემთხვევისთვის, მით უმეტეს კასსის აქტივის გასაუმჯობესებლათ და ბანკის ფუძის გასამტკიცათ თხოულობს ამ ზარალის შევსებას. როგორც გამგეობა ბრძანებს თავის მოხსენებაში, ჩვენს ბანკს თავის 27 წლის არსებობის განმავლობაში დაუხურდავებია 25 მილიონ მანეთზე მეტის თამასუქები, მიუხედავათ იმისა, რომ მრავალი წევრი დახოცილა, ზარალში ჩაურიცხავთ მხოლოდ 40,633 მანეთის თამასუქი; ამ თანხიდან კიდევ მიუღია ბანკს 10,381 მ.; ასე რომ 24 წელიწადში 25 მილიონის თამასუქებში დაკარგულია მხოლოდ 30,252 მანეთი. ეჭვი არაა, წელს თამასუქებზედ ზარალი შედარებით ბევრათ მეტი იქნება, მაგრამ საგრძნობლად ნაკლები, ვინემ აღნიშნულია მთავრობის რევიზორის მიერ.

— რაც შეეხება რევიზორის შენიშვნას იმაზედ, რომ გამგეობას არ მიუღია პირველი რევიზიის შემდეგ ორი წლის განმავლობაში შესაფერი ზომები თამასუქთა პირველის მოწეს-რიგების შესახებ და მხოლოდ ამ ბოლო დროს დაფაცურებულაო, არამედ გამგეობა ვერ იძლევა გარკვეულ პასუხს და ცდილობს მხოლოდ გაუძვრეს როგორმე ამ კითხვას, სხვა მთავარ კითხვებშიაც ამგვარსავე ხერხს იჩენს ბანკის გამგეობა. იგი ხან ფინანსიურ კრიზისს აბრალებს ბანკის ზიანს ხან რუსეთ-იაპონიის ომს, ხან ბრაზილიას, ხან გზათა სამინისტროს და სატარიფო კომიტეტს, ხან აზოვ-დონის ბანკის განყოფილების დაარსებას ქუთაისში, ხან კიდევ რასა და ხან რას. თითონ კი ცდილობს როგორმე გამოძვრეს რევიზორის კლანჭებიდან, მაგრამ ყოველივე მისი ხერხი მეტად გულ უბრყვილო და უსუსურია. მაგ., გამგეობა ბრძანებს, რომ კასის თანხის შეუსაბრობა ბანკის ვალთან შედეგია თანამედროვე კრიზისისაო. მართალია ფინანსიურ კრი-

*) როგორც მოსალოდნელი იყო, ბანკის საბჭო-გამგეობას გამოუჩნდნენ ქირისუფალნი და ...ოდნენ მეგობარ გაზეთებში სხვა და სხვა ფსევდონიმებით. აქ მათ არ შეეხებათ. ამ ახალ ...ლ «პუბლიცისტებს» ჩვენ მივართმევთ ...თ ცალკე წერილს. ავტ.

ბისადმი გულწრფელმა სიყვარულმა აიძულა ბ-ნი დროებითი განჯელი უნებლიედ მიემართნა გუშინდელს კორესპონდენციაში ისეთის საშუალებისათვის, რომელსაც სარგებლობის მაგივრად, ვნების მოტანაც ადვილად შეუძლია.

ბ-ნი დროებითი განჯელი თავის კორესპონდენციაში მოგვითხრობს ქ-ნ ო. ი. კაჭენეცკის მიერ ქ განჯაში გამართულს მუსიკალურ დილის შესახებ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ თურმე ორი ქართველი მოსწავლე: ნინო სარაჯიშვილი და ერეკლე ცერცვაძე.

ორთავე მოწაფეს კარგად, სანაქებოდ დაუკრავთ როიალზედ და საზოგადოება დიდადაც უსიამოვნებიათ. ბ-ნი დროები, თი განჯელი ამის გამო დასძენს, «როგორც ნ. სარაჯიშვილი, ისე ცერცვაძე დიდ იმედს იძლევიან, რომ მომავალში თვალსაჩინო დამკვრელნი იქმნებიან როიალზედ».

პატივცემულს კორესპონდენტს რომ აქ შეეწყვიტა თავისი კორესპონდენცია ჩვენ კრინტსაც არ დავძრავდით, ჩვენთვისაც, რასაკვირველია, დიდი იმედი და ნუგეშია, თუ რომ მუსიკის მცოდნე პატარა ქართველების გუნდი მომავალში ნიჭიერს და თვალსაჩინო მუსიკის მცოდნეთ შეიძენს.

ბ-ნი დროებითი განჯელი ესეთის მომავლის იმედით არაა კმაყოფილი და დაწვრილებით ახასიათებს მოსწავლეთა აწინდელს ნიჭსა და უნარს.

აბა ყური დაუგდოთ ბ-ნ დროებით განჯელს, რას მოგვითხრობს: ქ. სარაჯიშვილი და როიალი ორი ერთმანეთის მოქიშპე, მოწინააღმდეგი პირია. სარაჯიშვილს საკრავი არ ეცოდება, იგი იმას ისე ეპყრობა, როგორც კატა თაგვს: ხან აცინებს, ხან ატირებს; იგი სტკბება საკრავის წვალებით. პირველსავე მძლავრად თითების დარტყმით სარაჯიშვილი სრულიად იმორჩილებს საკრავს, რომელიც ჰგრძნობს, რომ ხელიდგან ვეღარ გაუსხლტება თავის მოპირდაპირეს, ერთს შეჰგრიალებს, მერმე საცოდავად დაიკვნესებს და მზად არის სრულიად ქედი მოიხაროს და დამარცხებული ფეხ-ქვეშ გაერთხეს დამკვრელის წინაშე ღ სხ.სხ.».

ცერცვაძე და როიალი—ორი განუყრელი მეგობარია; ცერცვაძეს როიალი უყვარს, როიალს ცერცვაძე, მათ შუა ნაზი მეგობრობაა, ისინი ერთი ერთმანეთით სცხოვრობენ, ერთი ერთმანეთიით სტკბებიან. თუ ერთი მხიარულია, მეორეც მისი მხიარულების გამომხატველია, თუ ერთის გული კაეშანს მოუცავს მეორეც სევდიანად კვნესის. ცერცვაძეს უყვარს როიალი, იგი ამას უფრო ხშირად ეალერსება, აქ ვნებათა ღელვა და მისგან გამოწვეული ბრძოლა კი არა, არამედ თანხმობა, ტკბილი ალერსი, ივით სიყვარული გამოსჭვივის. ხელი ხელს მისდევს, თითები თითებს, ერთი მეორეს გაურბის, ემალება.. ბოლოს ერთმანეთს შეხვდებიან... ჰაერი ოდნავ შეირხა! მსმენელის გული ატოკდა, ტკბილი, საოცნებო ნეტარება იგრძნო და სხ.»

ესეთის კილოთი ახალგაზდა მოსწავლეთა მუსიკალურის ნიჭისა და ხელოვნების დახასიათება ნაადრევად, გადაჭარბებულად და ანტიპედაგოგიურად მიგვაჩნია. მსოფლიო მუსიკოსთა ნიჭის დაფასება რომ გავნიზრახოთ, ჩვენის აზრით, ბ-ნ დროებით განჯელის დახასიათებას ვერას შევმატებთ, ეს დახასიათება ისე მძლავრია, რომ მათს გენიალურ დიადს ნიჭს უმეტნაკლებოდ შეჰფერის. ჩვენ გვაგონდება რომელღაც გაზეთში მოთავსებული იტალიელ მუსიკალურის კრიტიკოსის აღფრთოვანებული წერილი მუბენშტეინის დიადის ნიჭისა და როილზედ ხელოვნურად დაკვრის შესახებ, მაგრამ ეს კრიტიკოსი ბ-ნ დროებით განჯელზე უფრო თავ — შეკავებულად იხსენიებდა ამ დიდებულ კომპოზიტორის მუსიკალურ ნიჭსა და უნარს,

ჩვენ ერთს წამსაც ეჭვი არ შეგვაქვს ბ-ნ დროებით განჯელის გულწრფელობაში, ჩვენ სრულიად ვეთანხმებით, რომ ქ-ნი ნ. სარაჯიშვილი და ე. ცერცვაძე „დიდს იმედს იძლევიან" მხოლოდ ნაადრევად და ანტიპედაგოგიურ საშუალებად მიგვაჩნია ამ მოსწავლეთა ესეთის ძლიერის კილოთი გაზეთის ფურცლებზე ქებათა ქება. ესეთი დითირამბი ძალა უნებურად დაბადებს ახალგაზდა მოსწავლეთა მგრძნობიარე გულში სიამაყეს, განდიდების სურვილს, შეასუსტებს მათში შრომის მოყვარეობას, რადგან მათი ნიჭი და მუსიკაში დახელოვნება საჯაროდ შემოწმებულია.

ყველა ამას, რასაკვირველია, სამწუხარო შედეგი მოჰყვება, რაიცა, დარწუნებული ვართ, თვით ბ-ნ დროებით განჯელსაც სასიამოვნოდ არ დარჩება.

ა. უუმისთაველი.

## ღია წერილი ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილს.

«ათჯერ გაზომე, ერთხელ მოსჭერიო», ამბობს ხალხის ბრძნული ანდაზა, ამ ანდაზის ღრმა აზრით ხელმძღვანელობა თითოეულ ჩვენთაგანისთვის ურიგო არ იქმნებოდა, მაგრამ თქვენ, ბ-ნო ფ. გ., ეს გარემოება, მგონი, მხედველობაში არ გქონიათ, როცა ჩვენ, სტუდენტებს, გვიკიჟინეთ და უმრავლესობა უკუღმართ თვისებით დაასურათ-ხატეთ. სხვების მაგიერათ რა მოგახსენოთ, ისინი საკადრისს პასუხს თითონ მოგცემენ და მე კი გთხოვ, თუ შესაძლებელია, მოსკოვის ქართველი სტუდენტობა იმ უმრავლესობის სიიდგან გამორიცხოთ! ჩვენ, მოსკოვის ქართველმა სტუდენტებმა, დედა-ენისა და სამშობლო ისტორიის მნიშვნელობა ძალიანი კარგად ვიცით; ვცდილობთ შევიგნოთ წარსული, აწმყო და ამათზე დავამყაროთ ჩვენი ერის საუკეთესო მომავალი; ჩვენ ისიც ვიცით, რომ არც ერთი ერი თავისს თავს არ უარჰყოფს, არამედ სცდილობს განვითარდეს, გამდიდრდეს და თუ სხვა ენებს წინსვლაში ვერ გაასწრებს, არ ჩამოუარდეს—არ ჩამორჩეს. განა რუსეთ-იაპონიის ომის დაწყების ხანებში სოციალ-დემოკრატთა საუკეთესო წარმომადგენელმა ბებელმა არა სთქვა: «თუ გერმანიას თავის არსებობისათვის ომი მოუხდა, ჩვენ ჩვენი სამშობლო იარაღით უნდა დავიცვათო»?— ეს ერთი,—მეორე—რუსეთის გამოჩენილმა მწერალმა განაცხადა: «მე პრაქტიკულად ნაციონალისტი ვარო», და პელტამმა ნაციონალისტებს უკიჟინა: «ჩვენ უფრო ბევრს ვაკეთებთ ჩვენი ერისათვისო». დიაღ, ბ-ნო ფ. გ., არც ერთი ერი თავისთავს არ უარჰყოფს და ჩვენ ეს კარგად გვესმის და ეს დიადი აზრი არც ერთ წუთს არ გვავიწყდება. საქმე ასეა და თქვენ მაინც ფაქტები გინდათ და, მართალი გითხრათ, არ ვიცი, საიდგან დავიწყო თავის გამართლება. თუ გნებავთ, აქედგან:

1) მოგეხსენებათ, მოსკოვის უნივერსტეტში არსებობს ქართული ლიტერატურის კათედრა; ლექციებს ჰკითხულობს ბ-ნი ა. ხახანაშვილი. 1901, 1902, 1903 და 1904 წლებში ლექცია კვირაში ორჯერ იკითხებოდა, და 1904—1905 წლ. კი თითოჯერ. მაგრამ რა? ჩვენ არ გვაინტერესებს არც ვეფხის ტყაოსნის თარგმანი, არც ვახტანგის კანონმდებლობის გარჩევა, არც ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია და არც ამ ეპოქების ნაწარმოების განხილვა; ჩვენ ამ ლექციებზე ერთი-ორი-სამი კაცი დავკინკილობთ (იშვიათად 4, 5), ხშირად კი ჩვენი მიუსვლელობით ლექციის კითხვა გადაიდება ხოლმე. ჩვენ კი მოსკოვში 49 კაცი სტუდენტი ვართ. აი ჩვენ ასე მუყაითად ვეპყრობით ამ საინტერესო ლექციებს: ლექტორსაც ვახალისებთ, კათედრის ნიადაგსაც ვამაგრებთ, ჩვენ თვითონაც ბევრს ვიძენთ და რაა, რომ თითქოს ჯიბრში ჩაგვდგომიხართ და ულმობელად გვიკიჟინებთ!...

2) აქ ყოფილ სტუდენტებისაგან დატოვებული ქართული წიგნები ბლომადა გვაქვს. ეს წიგნები (დიდს უმრავლესობას) წინათაც არ წაგვიკითხავს და ეხლა ვკითხულობთ; წელიწადში ორი-სამი კაცი თუ წაიღებს თითო წიგნს და ისიც ორჯერ-სამჯერ. დიაღ, არ ვკითხულობთ, ან კი რა საჭიროა. იმათ შესახებ ზოგიერთი ხშირად იმ აზრს გამოთქვამს, რომ ისინი ჩვეთვის მეტი ბარგიაო!

3) ჩვენ თუ ურთიერთშორის რამე საქმე... გვექნება... ეს უცხო ენაზე სწარმოებს—გინდა წერილობით, გინდა სიტყვიერად, თუ რამ ანგარიშები გვაქვს ერთმანეთისათვის წარსადგენი, ამას, რასაკვირველია უცხო ენაზე «გავაშანშალებთ». რომ იკითხოთ, რატომაა ეს ასეო, ზოგიერთი ამაყად მოგიგებთ: «სულ ერთი არაა? ჩვენთვის ხომ გასაგებიაო», ან კიდევ; «რა გაეწყობა, ამას უნდა შევურიგდეთო» და სხვ. და სხვ.! (?!).

4) აქ რასაკვირველია, ატესტატიანი და უატესტატო ჩვენი ქალები არიან. უატესტატონი პედაგოგიურს კურსებზე არიან და ამასთან ატესტატისთვისაც ემზადებიან. რომ იცოდეთ, როგორ ეპყრობიან მათ ზოგიერთი ატესტატიანები. ისინი გამხნევების მაგივრად კიდეც დასცინიან ყოველსავე მათ მისწრაფებას აქაც, იქაც, ყოველგან, ყოველთვის—გამლელ-გამომლელთან, უცხოსთან-შინაურთან! რომ იკითხოთ, ამას რათ კადრულობთო, მედიდურის კილოთი გეტყვიან: «რა ვქნა, ეს ჩემი აზრიაო». ეს ხომ კარგი თვისებებია და აფერუმ-აფერუმ ამ ატესტატიანებს, რა ღირსეულად ეპყრობიან თავიანთ თავს და ქალებს!

5) ვიცი და კარგადაც ვიცი, რომ ბ-მა გოგებაშვილმა ერთს პატივცემულს ადამიანს თავისი «ეროვნების ბურჯი» გამოუგზავნა ერთის თუ ორის აქ უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლის გადასაცემათ. მაგრამ მათ ეს წიგნი ჯერ კიდევ არ წაუღიათ, თუმცალა მათ სახელზე წიგნის მოსვლა შარშან იანვარში თუ თებერვალში არა ერთხელ გაიგეს. რატომ არ წაიღეს? ალბათ მისთვის, რომ აქ «ერი»-ა ნახსენები, ან კი რისთვის წაიღებდნენ? ვაშა! ვაშა! რომ კარგს მომავალს გვიქადიან ამისთანა პატივცემული ადამიანები?!

—

6) სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ კარგად ვიცნობთ ილია ჭავჭავაძეს, აკაკის, მაგრამ აკაკი რომ ახსენოთ, ზოგიერთი ჩვენგანი გულუბრყვილოდ გკითხავს, აკაკი ვინ არისო!

აი ბ. ფ., ფაქტები, რომელნიც აქ ჩვენ გვამართლებენ, თქვენ გამტყუნებენ და ჩვენგან მეტი რაღა გინდათ: თქვენ მტყუანნი, ჩვენ მართალნი, თქვენ იტირეთ, ჩვენ ვიცინით: ხა! ხა! ხა! ხა!

ისარი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 დეკემბერი.

**პორტ არტური, 27 დეკ.** (რეიტერი). პორტ არტურთან მყოფ ჟრმიიდგან იტყობინებიან, რომ იქ გაგზავნილ იქმნა საგენერალო შტაბის კაპიტანი ცზუნოდა მიკადოს დეპეშის გადასაცემად სტესელისათვის. მიკადო არწმუნებს სტესელს, დიდის ყურადღებით მოეპყრობიან ჯარსაო. ცზუნოდამ სტესელს შინაური ფრინველები და ღვინო მოუტანა; სტესელმა მადლობა გადაუხადა და მთელი ორი საათი ემუსაიფა. ბაასის დროს სტესელმა ჰკითხა, ამ ჟამად კუროპატკინი სად არის დაბანაკებულიო. ცზუნოდამ უპასუხა, დანამდვილებით არ ვიცი, მხოლოდ მგონია, მუკდენის მახლობლად უნდა იყოსო. სტესელს თურმე 29 ოქტომბრიდან არავითარი ცნობა მისვლია. სტესელმა უთხრა, ჩინელნი ჯაშუშნი გავგზავნე და იმათ ამბავი მომიტანეს, რუსთა არმია, პორტ არტურის დასახსნელად გამოგზავნილი, ამ ჟამად სდგას ცზინჩოუში, პორტ არტურიდან ჩრდილოეთად, 20 ვერსის მანძილზეო. სტესელმა, ეტყობოდა, არ დაიჯერა, თუ კუროპატკინი დამარცხებულ იქმნა და წავიდა მუკდენისაკენ, მაგრამ ცზუნოდამ აჩვენა რუკა ორთავე არმიის მდგომარეობისა. სტესსელმა ჯერ გაკვირვება გამოაცხადა ამის გამო და შემდეგ ჰკითხა, ბალტიის ფლოტი სად არისო. როცა გაიგო ესკადრის რამდენსამე გემს კეთილ იმედის კონცხიც არ გაუვლიაო, სტესსელმა მწუხარედ სთქვა: ახლა, პორტ არტურის დაცემის შემდეგ, ესკადრის გაგზავნას არავითარი აზრი არა აქვსო და ბოლოს დაუმატა, მე უფლება მაქვს რუსეთში დავბრუნდეო: წლოვანება ნებას მაძლევს ოჯახურ ცხოვრებას დავუბრუნდეო.

**ჩიფუ.** 27 დეკმ. (რეიტერი) გუშინ, იმ დროს, როდესაც იაპონელნი პორტ არტურის დაცემას დღესასწაულობდნენ, იაპონიის კონსულისაგან შემაშფოთებელი ამბავი მოვიდა, რომლის შემდეგაც დღესასწაულობა შესწყდა. ამბობენ, კონსული შიშობდა, იაპონელთა და ჩინელთა შორის შეტაკება არ მოხდესო. მეორე ცნობითა სჩანს, პორტ არტურში ნაღმი აფეთქდა, რასაც საგრძნობელი ზარალი მოჰყვაო.

**ლონდონი.** რეიტ. სააგენტოს კორესპოდენტი, რომელიც ნოგის არმიასთან არის, დეპეშით იტყობინება 24 დეკემბერს: «დღეს 5,000 კაცი რუსთა გარნიზონისა გაიგზავნენ პორტ არტურიდან იაკუცზუესა (გოლუბინაია ბუხტას მახლობლად) და შანლიტზუში. პირველი ნაწილი, 1,000 კაცი სამ საათს შემდეგ მივიდა, დანარჩენები მათ შემდეგ. თვითოეულს ნაწილს ხუთი დატვირთული ფურგონი მოჰქონდა შანლიტზუში პირველად აფიცრები მივიდნენ ოთხ საკანონერო გემზე. პატიოსან სიტყვის მიცემაზე ყველამ უარი განაცხადა. აფიცრებს ხმლები ერტყათ. ისინი დაღალულნი და აღელვებულნი არიან და გულ-მოსულნი იაპონელებზე, რომელთაც ცნობის-მოყვარეობით თავი მოიყარეს. სალდათები კარგ გუნებაზე არიან, დაღალვა მათაც ეტყობათ. აფიცერთ კარგად აცვიათ, სალდათებს ჭუჭყიანი მოკლე ფარაჯები აცვიათ. იაპონელნი დიდის პატივის ცემით ეპყრობიან სამხედრო ტყვეებს და სთავაზობენ პაპიროზსსა და ლუდს. ბარგის გადატანაშიც ეხმარებიან. პორტ არტურთან ტელეფონისა და ტელეგრამის მოძრაობა რამდენისამე დღის განმავლობაში აღდგენილ იქმნება. აღმოსავლეთ ფორტებს იაპონელთა ინჟენერნი გამოიკვლევენ.

**ალექსანდრია.** (რეიტერი). ადმირალ დობროტვორსკის ესკადრას პორტ-საიდ-

ზისს დიდი ზიანი მოაქვს ვაჭრობა-მრეწველობისთვის და საკრედიტო ორგანოებისთვის, მართალია ეს კრიზისი არა იშვიათად აკოტრებს მდიდარ ბანკებსაც კი, მაგ., ამ ორი სამი წლის წინად გაკოტრდენ დრეზდენის და ლეიფციგის პირველ-ხარისხოვანი ბანკები, დიახ, ყოველივე ეს მართალია, მაგრამ ჩვენს ქეთულ ბანკირებს ავიწყდებათ მხოლოდ ერთი რამ, ავიწყდებათ ის, რომ ფინანსური კრიზისი თითქმის უველაზე ნაკლებად მოქმედობს იმგვარ ტიპის ბანკზედ, როგორიც ჩვენია. ფინანსიური კრიზისი მკაცრია სავაჭრო-სამრეწველო ბანკებისთვის. ე. ი. იმგვარ ორგანოებისთვის, რომელნიც მისდევენ სპეკულიაცას. ამგვარ საშინელ ქარიშხლის დროს ჩვენისთანა ბანკს აქვს მოპოვებული მყუდრო ნავთ-საყუდარი, ესაა საურთიერთო ნდობა, საერთო პასუხისმგება და მხოლოდ თავის წევრთა ხელის გაწყობა შეზღუდულ სესხით, მაგრამ ვაი იმ ბანკს, რომელიც გადასცდება თავის წესდების ფარგალს, გაედევნება სპეკულიაციას და წევრთა დივიდენდების მომატებას! იცოდეთ ამგვარი ბანკის მსვლელობა მოლიპულ შარაზეა დაქანებული და ნუ გიკვირთ თუ ერთ მშვენიერ დღეს მას გაუსხლტება ფეხი და დაგორდება ეალუპის ხრამისკენ. სწორეთ ასე დაემართა ჩვენს ბანკს. საკრედიტო ორგანოთა ისტორიაში არა იშვიათია ამგვარი მაგალითი. ვის არ გსმენიათ ვენის საიპოტეკო ბანკის 30 მილიონ გულდენით გაკოტრება სამოცდა-ათიან წლებში! და ეს მოხდა მხოლოდ იმით, რომ ამ ბანკის გამგეობა გადასცდა თავის წესდების ფარგალს და ხელი მიჰყო სპეკულიაციას, და სხვა და სხვა სარისკო ოპერეციებში დიდრონი სესხის გაცემას. სწორეთ ასე ჩაიდინა ჩვენი ბანკის საბჭო-გამგეობამ. ამათ გასცეს შავ-ქვაზედ იმდენი სესხი, რომელიც ექვსჯერ აღემატებოდა ბანკის ძირითად და სათადარიგო თანხებს. მათ გაუხსნეს კასის კარები თავიანთ მეგობრებს, გახადეს ბანკი მათ კანტორათ, მისცეს მათ სესხათ საქონლის ღირებულების ორი მესამედის ნაცვლად მთელი ღირებულება და ხშირად მეტიც (მაგ. პ. წულუკიძეს). მაგრამ ყოველივე ეს იყო ჩვენთვის ფარული, სანამ ბანკს შავი-ქვის გმირმა არ გამოაცალა ვადით და მიმდინარე ანგარიშზედ შეტანილი «სიეზდის» ნახევარი მილიონი, რომელიც დაფლანგა უმთავრესად ჭიათურის შენობებში. ამით ბანკს გამოეცალა ხელიდან ბალანსი, მან დაჰკარგა თანასწორობა და იწყო რყევა, ამას დაერთო ქვის ფასების დაცემა, რამაც დააწყებინა წიწკინი ბანკს. აი ამ მიზეზებმა დასცეს ბანკი.

შევეხოთ ახლა შავ-ქვაზედ გაცემულ სესხის ახსნას. ეს თავი ყველაზედ უფრო მრავალ სიტყვოვანია, მაგრამ ყველაზედ უფრო სუსტი გამგეობის მთელს მოხსენებაში. გამგეობა ბრძანებს: მთავრობის რევიზორის ბრალდება, თითქო დიდი თანხა გავეცით შავი-ქვის ოპერაციებზედ და მით ბანკი და ფულის შემომტანნი ჩავყარეთ შეუნებულ რისკში, არ არის მართალიო; აქ მთელი ბრალი გზათა სამინისტროს და სატარიფო კომიტეტს ადევსო, რადგან არ დაუკლეს ტარიფი ჭიათურის შტოზედაო, ჩვენ ამ შემთხვევაში ვამოქმედებდით წინდაუხედავათ კი არა, არამედ დიდხნის დაკვირვებით და ბანკის წევრთა მტკიცე მოხოვნილების შემდეგო, არც სხვა ბანკები ეუბნებოდნენ უარს შავიქვის მრეწველთ, თვით სახელმწიფო ბანკი სცნობდა შესაძლებლად და სასურველად სესხის მიცემას შავი-ქვის გირაოს ქვეშ და ამისთვის ინსტრუქციაც კი შეადგინა თავის განყოფილებათათვის, რათა მათ ეძლიათ 75% ღირებულებისა ერთი წლის ვადით, ჩვენს ბანკს წინა წლებში ბევრი თავისუფალი თანხა ჰქონდა, და მიტომ ეს ფული სადმე უნდა დაგვებინავებინა, ამგვარ ურისკო და სასარგებლო ბინად მიგვაჩნდა შავი-ქვა, რომელსაც ვხადდით ურისკოთ თვით კრიზისის ფასების დაცემის დროს, რადგან ერთ ერთი გარემოება გვქონდა სახეში, ეს გახლავთ ის, რომ ჭიათურის ტოტზედ ბატონობდა უზომო მაღალი ტარიფი, 14 ჯერ უფრო დიდი ნორმალურზედ და სატარიფო კომიტეტი ყოველს თხოვნაზედ დაკლების შესახებ პასუხობდა უარით, იმ მოსაზრებით, რომ ეს მაღალი ტარიფი შენახულია რეზერვათ იმ შემთხვევაში, თუ დაეცა ფასი კავკასიის შავქვაზედ, ან აღმოუჩნდა მას მეტოქე, ამ უარით ყოველივე რისკი ჰქრებოდა, ჩვენ და სხვებმაც ამას შევჯერდით. მოხდა კრიზისი, დაეცა ქვის ფასები, გაგვიჩნდა მეტოქე, მაგრამ სატარიფო კომიტეტმა თავის პირობა ვერ შეასრულა, ამით ჩვენმა ქვამ დაკარგა უცხოეთის ბაზრები და თვით მრეწველები დაიღუპნენ, ამის გამო როგორც ჩვენ, ისე სხვა ბანკებსაც მოუხდათ ზარალი. ამიტომ ამ საქმეში არა მცირე ბრალი ედებათ გზათა სამინისტროს და სატარიფო კომიტეტს. შემდეგ გამგეობა ეხება დაგირავებულ ქვის რაოდენობას და ამბობს, რომ რევიზორის ნაანგარიშევი 2,947,000 ფუთი არ არის მართალიო, ჩვენ გავგზავნეთ ჭიათურაში კაცები და იმათი ანგარიშით აღმოჩნდა 4,500,000 ფუთი და ზოგიერთმა პირებმა კი იანგარიშეს 3,780,000 ფუთი. (ეს პირები გახლდათ კერძო რევიზორები). რევიზორი თხოულობს ზარალში ჩასაწერად შავ-ქვაზედ გაცემულ სესხში, 300 ათას მანეთს, რომ ამ რიგად წევრებმა შეავსონ ეს ფულიო. არც ის არის მართალი რევიზორის საყვედურში თითქო ჩვენ მიერ დაგირავებული ქვა არ იყოს კარგი ღირსების, ეს ქვა გვარიანი ღირსებისაა და თუ ჩვენ მის გასაუმჯობესებლად ვყიდულობდით ქვას, მიტომ, რომ მუშტარი წინად კმაყოფილდებოდა 48% ქვით, ახლა კი თხოულობს 50%-ან საქონელს. არც ის შენიშვნაა მართალი თითქო ჩვენ სხვილი თანხა გავეცით კრიზისის დაწყების შემდეგ. როგორცა სჩანს რევიზორს გამოპარვია, რომ ეს თანხა, ე. ი. 372,000 მან. მიცემულია შავ-ქვაზედ კი არა, არამედ ქვის გადასაზიდათ ფოთამდე, გემში ჩასატვირთად და ეს ფული დაუყოვნებლივ შემოგვდიოდა ბანკში კონოსამენტით. არც ის საყვედურია მართალი, თითქო ჩვენ ვაძლევდით ზედ-მეტ სესხს. მაშინ ქვის ფასი ფოთში იყო $23\frac{1}{2}$ კ., ე. ი. 12 კაპიკამდე ჭიათურაშიო. ადგილობრივი ფასები კი ვაგონობით იყო 9 კაპეიკამდე წმინდა წონითო: კრიზისის დაწყების შემდეგ გამგეობამ სცადა ქვის გაყიდვა, მაგ., თ. პეტრე წულუკიძის, მაგრამ ამას მოყვა სამწუხარო შედეგი და ამიტომ შევაჩერეთ საქმეო და ბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ თუ წევრებიდან გვექნა დახმარება, შავი-ქვის ოპერაციაზედ ზარალი არ აღემატება იმ ჯამს, რაც აღნიშნა გამგეობამო, (150,000 მანეთს), და თუ ვინიცობაა ტარიფი დაუკლეს, მაშინ არავითარ ზარალს არ ვნახავთო». (იხ. გვ. 9—18).

აი, ბატონებო, ბანკის გამგეობის თავის გამართლება! ოჰ, ღმერთო, რამდენი ულოღიკობა, უძლური სოფისტიკა, ბუნდოვანობა და ბავშური ტიტინია ამ «გამართლებაში»! რომელი ერთი მოვიგონო! რომელზედ შევაჩერო მკითხველის გულის ყური! ნეტა ვინ სურს გამგეობას დააჯეროს ამ გვარი ლათაიებით?! ნეტა ვის აფარებს თვალებზედ რიდეს?!

სიმონ ქვარიანი.

(შემდეგი იქნება)

...დილის 4 საათზე მოელიან. განკარ... ესკადრის სრუტეში გაშვების ...რ არის გამოცხადებული. ია... თავრობამ პროტესტი გამოაც... ...ეთის გემთათვის სურსათის მი... წინააღმდეგ. სრუტეში გავლის ...კადრას გარს ერტყმევა პატრუ...ლები.

**ტოკიო.** (რეიტერი). საზღვაო სამინისტრო მწუხარებას აცხადებს იმის გამო, რომ ინგლისის კრეისერმა «ანდრომედამ» წაიღო პორტ-არტურისათვის სანოვაგე და აცხადებს, რომ იაპონიის კომენდანტმა უარი განაცხადა შემწეობისა თანახმად საზოგადო უფლებებისა. იაპონიის მოხელეებმა, მოუვიდათ თუ არა „ანდრომედას“ წასვლის ამბავი, ვეიჰაივეიდან შეატყობინეს, შემწეობას მადლობით მივიღებთო, მაგრამ ეს ბრძანება რომ მოვიდა, „ანდრომედა“ იქ აღარ იყო.

**პარიჟი.** „ეხო-დე-პარი“-მ გამოაცხადა საიდუმლო მოხსენება ფორმოზის გუბერნატორის კოდამასი 1902 წლის თარიღით. იმაში აღნიშნულია, რომ საჭიროა ომი რუსეთთან წინად, ვინემ ინდო-ჩინეთს დაიპყრობდეთო. აქედან ცხადდება, რომ იაპონია ემზადება დიდის ბრძოლისათვის მთელის დასავლეთის წინააღმდეგ.

**ტოკიო.** (რეიტერი). ნოგიმ სამხედრო ტყვეების სიას კიდევ დაუმატა შემდეგი გვარები: გენერლები ნიკიტინი და ბეილი და ადმირალი ვირენი. გენერალ სტესელის გარდა პატიოსანი სიტყვა მისცეს, იაპონიის წინააღმდეგ არ ვიბრძოლებთო, გენერალმა რეისმა ნადეინმა და კოსტენკომ; ადმირალებმა უხტომსკიმ, გრიგოროვიჩმა და როშტილოვსკიმ და მთავარმა ინჟინერმა რონბებაკმა.

**ნაგასაკი.** მოვიდა ტრანსპორტი «მოზამარუ» და თან მოიყვანა 28 რუსის აფიცერი და ათასი რუსის ჯარის კაცი. აფიცრები გადმოსხდნენ ნაგასაკში, ჯარის კაცები კი კოკურას გაგზავნეს.

**ტოკიო.** (რეიტერი). საზღვაო სამინისტრო იუწყება, დღემდე 395 ნაღმი ააფეთქეს. რუსის საავადმყოფოებში კიდევ ნახეს ათი ავადმყოფი იაპონელი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს გემების ჩახერგვაში ნავთსადგურთან.

**მარსელი,** 27 დეკემბერი. გარდაიცვალა ანარქისტი ლუიზა მიშელი.

**პარიჟი.** (რეიტერი). ჰულის კომისიის დღევანდელ კრებაზე, რომელმაც 10 საათიდან 12-დე გასტანა, შეიმუშავეს წესრიგი მუშაობისა. შემდეგი კრება იქნება, ხვალ ორ საათზე.

**სან-ფრანცისკო.** დღეს იაპონიაში იგზავნება გემ «ჩაინათი» ორ მილიონ-ნახევარი დოლარი ოქრო.

სალამოს დეპეშები

29 დეკემბერი.

**პორტ არტური.** გენერლები სტესელი და რეისი რუსეთს მიდიან.—მტკიცდება, ნავთსადგურში ისე დაზიანებულია გემები, რომ იმათი ამოღება ჯერ ასე მალე არ იქნებაო.—„დეილი ტელეგრაფის“ კორ. ჰპოვობს, ვნახე ათასობით ტყვეები. ჯარისკაცებს დაღლილობა, შეწუხება და ავადმყოფობა არ ეტყობათო. ჯარის-კაცებს სახე ხორცლობით აქვთ სავსე. ყველა აფიცრებმა, ასე 300-დე, იმათ გარდა ვინც შეეცოდებიან ეკუთვნიან, გარდასწყვიტეს ტყვე ჯარის-კაცებთან დარჩენა.

**ტოკიო.** მუნიციპალიტეტმა ნაგასაკში გადასდო 6500 იენი ტყვე რუსების გასამასპინძლებლად.

**ლონდონი.** ერთ პორტ არტურის ფორტში 26 დეკემბერს ფუგასი აფეთქდა და 20 იაპონელი ჯარის-კაცი და ორი ცხენი მოჰკლა. თვით ქალაქშიაც ორი ფუგასი აფეთქდა.

**პორტ-საიდი.** ესკადა დილის ათს საათზედ მიდის.

**პორტ-ლუისი.** იუწყებიან, იაპონიის ესკადრა მოვიდა დიეგო-გარსს და დასავლეთისაკენ მზვერავები გაგზავნა.—როჟესტვენსკის ადიუტანტმა სთქვა ტამატავში, რომ ესკადრით კარგად იმოგზაურა დაკარიდან კეთილ საიმედო კონცხამდეო. მეკრმა ღელვამ ვერა დააკლო-რაო. მეზღვაურები ჯან-საღად და კარგს გუნებაზე არიან. მხოლოდ სიცხე აწუხებთ. 21 დეკემბერს ადმირალს აცნობეს, იაპონიის ფლოტი იმას გზაში უნდა დაუხვდესო. ამიტომ გემზე გააძლიერეს თვალ-ყურის დაჭერა. მარტის დაწყებამდე ესკადრას იმედი აქვს ვლადივოსტოკს მივიდეს.

**ჩიფუ.** გენერალ ნოგიმ თავის ჯარები დააყენა ძველ ქალაქიდგან ჩრდილოეთად, რაკი ეშინიან, რომ იქ ნაღმებია ჩაწყობილი. მანამ ნაღმებს არ მოსპობენ სამუდამოდ არ დამკვიდრდებიან ქალაქში. იაპონელებმა ყველა ფორტები დაიჭირეს ლიაოტეშანის გარდა.

**ვაშინგტონი.** მოინდომეს ფრიდრიხ დიდის ძეგლის აფეთქება, მაგრამ ამაოდ. დამნაშავენი ჯერ ვერ უპოვნიათ.

**ბაქო.** 26 დეკემბერს ბალახანაში თითქმის ერთს დროს ოთხგან გაჩნდა ცეცხლი. მანთაშოვისა, ტრუბეცკის ადგილზე ოთხი კოშკი დაიწვა, ჩოლოყაშვილისაზე ექვსი და ოთხიც საწყობი. კოლესნიკოვებისა ორი კოშკი, ნობელისაზე—ოთხი, კასპის—შავი-ზღვის საზოგადოებისა--ხუთი ევროპიელთა საზოგადოებისაზე ექვსი კოშკი და სხვაგანაც ბევრგან. დღეს ზოგან დაიწყეს მუშაობა. დანარჩენები ხვალ შეუდგებიან მუშაობას ნახევარ თვის შეყენება ნავთის დამუშავებისა და ცეცხლი ნავთის ფასს ასწევს.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

23 დეკემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . | 93,70 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . | 37,37 |
| ლონდონში ჩეკები . . . . . | 94,50 |
| ბერლინში ,, . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . ,, . . . . . . | 37,60 |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . . | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 89½ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | 87½ ნ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 421½ ნ. ყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 318 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 265 წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . | 90 წ. გ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 87⅛ წ. გ. |

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა ამ წლის 15 ოკდომრიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს:** სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.) საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.): სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს 33 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

---

სახალხო ბიბლიოთეკები.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა».

**ტფილისში:**

1) სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში. ღია არის
დილის 10—2 საათ.
საღამ. 5—7 „
კვირა-უქმეს—დილ. 11—1 „

2) ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131. ღია არის
დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—9 „

3) ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19
ღია არის დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—8 „

---

# განცხადებანი

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ალექსი-მესხიშვილი,** სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სქესოსთა ქრონიკულ ავადმყოფებს და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—კირონნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კონუშის ქუჩა, № 19.

---

# ავტორთა საყურადღებოდ

ამ წლის ივნისის 7-ს ქ. ტფილისში დაარსდა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა «სხივი», რომელსაც საგნად აქვს ჰბეჭდოს ქართული სახალხო და საუმაწვილო წიგნები მეცნიერების ყველა დარგისა და სიტყვიერებისა.

ამხანაგობა დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალ 1905 წლის თებერვლიდან.

ამხანაგობის დამფუძნებელმა წევრებმა ამოირჩიეს დროებითი სარედაქციო კომისია, რომელსაც დაავალეს მოამზადოს შესაფერი მასალა გამოსაცემად.

ამხანაგობას ჯერ-ჯერობით აზრად აქვს გამოსცეს შემდეგის დარგის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებანი: საექიმო, სამეურნეო, ისტორიული და პოლიტიკურ-ეკონომიური.

ხსენებული დროებითი რედაქცია სთხოვს ბ-ნთ ავტორებს, მოაწოდონ თავიანთი თხზულებანი გასაშინჯად და გამოსაცემად.

რედაქცია სთხოვს ავტორებს ნაწარმოებთან ერთად აცნობოს მას წერილით: რა პირობებით სურთ დაუთმონ ამხანაგობას თავიანთი თხზულებანი.

ნაწარმოების გამოგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით: ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს (ქ. ტფილისი, იზმაილოვის ქ. № 44.), ანუ ალექსანდრე გრიგოლის ძეს სოლოღაშვილს. (ქ. ტფილისი, გოლოვინის პროსპ. № 12).

სარედაქციო კომისიის წევრნი: ალ. სარაჯიშვილი, ხ. დღოტი, ს. გორგაძე, ალ. სოლოღაშვილი.

---




(2—1).

---

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ დრამა-ლეგენდა

## ღალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

---

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1905 Г.

на большую ежедневную съ полной программой, выходящую въ Баку, газету

## „БАКИНСКІЯ ИЗВѢСТІЯ“

(ЧЕТВЕРТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ).

**ВЪ ГАЗЕТѢ ОБѢЩАЛИ УЧАСТІЕ:**

С. Ф. А-фъ, Н. П. Ашешовъ, Е. З. Барановъ, П. А. Берлинъ, В. Богучарскій (В. Я. Яковлевъ) Mr. Broun, Б. К. Бухъ, Х. С. Варданянъ, П. А. Васильевъ, Д. Ведребисели, (Д. К. Маліева), Ю. А. Веселовскій, В. С. Вейншалъ, К. Воиновъ, Вѣди-Азъ, Горичъ, М. М. Гутманъ, В. А. Евангулова, В. И. Ивинскій, (Б. Борскій), А. С. Изгоевъ, М. В. Кечеджи-Шаповаловъ, Н. П. Козеренко, А. Н. Котельниковъ, М. Меликъ-Шахназаровъ, Мечтатель (Ѳ. Ѳ. Трозинеръ), А. И. Новиковъ, Н. А. Падаринъ, А. Б. Петрищевъ, Конст. М. Пономаревъ, Н. С. Семеновъ, С. С. Семеновъ, Орестъ Семинъ, А. С. Скляръ, М. А. Славинсій, М. Ф. Славинская, д-ръ Л. Соколовскій, Ю. Стекловъ, В. Ѳ. Тотомянцъ, А. Ю. Финнъ, Б. І. Харитонъ, Г. И. Шрейдеръ, И. И. Шрейдеръ, Эненъ, Эхо и др.

*Газета имѣетъ собственныхъ кореспондентовъ въ крупныхъ городахъ Кавказскаго края, а также въ С.-Петербургѣ, Москвѣ и заграницей.*

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:**

| | Для городскихъ подписчиковъ | Для Чер. гор., Баилова, Балахан. и иногород. подписчиковъ |
|---|---|---|
| На годъ . . | 7 р. — к. | 8 р. 50 к. |
| На 6 мѣсяцевъ | 4 „ — „ | 5 „ — „ |
| На 3 мѣсяца | 2 „ 50 „ | 3 „ — „ |
| На 1 мѣсяцъ. | 1 „ — „ | 1 „ 50 „ |

**Для годовыхъ подписчиковъ допускается разсрочка.**

| | Для городск. | Для иногород. |
|---|---|---|
| При подпискѣ . . | 3 р. | 3 р. 50 к. |
| Къ 1 апрѣля . . . | 2 „ | 3 „ — „ |
| Къ 1 іюля . . . . | 2 „ | 2 „ — „ |

Годовые подписчики на 1905 г., внесшіе при подпискѣ полностью всю подписную сумму, получаютъ въ 1904 г. газету, со дня подписки БЕЗПЛАТНО.

(3—ჳ—3). Редакторъ-издатель *Н. А. Гриневъ.*

---

პირველად ქართულს ენაზე

ყველასათვის **საჭირო** და **სასარგებლო** წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილი და განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასთვის გასაგების ენითა და მაგალითებით, რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნს დართულ აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. «**უცხო ანდაზები და წინადადებანი**», რომელიც არა ერთ გზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს მხოლოდ ერთი მან., ჩვეულებრივის ყდით 1 მ. და 15 კაპ., საუცხოვო (ოქროს ვარაყიან ასოებით დაბეჭდილი) კალენკორის ყდით მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ.; წიგნი ფას-დადებითაც (съ налож. пл.) შეიძლება გაიწერონ. უმთავრესი საწყობია ტფილისში, ქაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: **Тифлисъ. Книжная торговля, Іос. Зах. Имедашвили.** (10—10)

Дозволено цензурою Тифлисъ, 29 декабря 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ домъарм. семинаріи.